# სახალხო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | —3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | —1 მ. | — 1 მ. — |

**მეხუთე წელიწადი**

**გამოდის თვეში ორჯერ**

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისს «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «**СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ**» *при типографіи Г. Церетели и ко.* (*Дубелира-*

№ 5 შაბათი — V — 15 მარტს, 1872 წ.


**შინაარსი:**


როგორ უნდა შეიტყოს ღრუბლებზე თუ როგორი დარი იქნება?—როგორ უნდა შევატყოთ ნისლებს როგორი დარი იქნება?—მცის მნათობებზელა როგორ შევიტყობთ ამინდს?—ამინდის სხვა და სხვა გასაგები ნიშნები.—ძალიან იაფი საპონი.—როგორ უნდა გადავარჩინოთ თავი ხოლერას?—


## როგორ უნდა შეიტყოს კაცმა ღრუბლებზე თუ როგორი ამინდი იქნება?

ჩვენ კარგათ ვიცით, რო მზე ათბობს დედამიწას და ყოველსავე რაც დედამიწის ზურგზედ არის, ნამეტნავათ ზაფხულში. მაგრამ ყველაფერზე კი ერთნაირად არ მოქმედობს ეს სითბო: მიწა, ქვა და სხვა ამისთანები თითქმის სრულებით არ იცვლებიან სითბოსგან, რაც უნდა ძალიან გახურდნენ, ესე იგი, არც პატარავდებიან და არც დიდდებიან მზის სიცხოვლისაგან, მაგრამ წყლის საქმე კი სულ სხვა არის: ის რომ ცოტა ხანს მზეზე დავაგდოთ ზაფხულში და ყური უგდოთ თუ რა მოუვა ამას, ჩვენ მალე შევნიშნავთ, რომ ამას ცოტ-ცოტათი აკლდება და ბოლოს, თუ წყალი დიდხანს დარჩა მზეზედ, სრულებითაც გამოილევა ჭურჭელში. მაშინ ვიტყვით ხოლმე, რომ წყალი დაშრაო. რა არის ეს წყლის დაშრობა? ეს არის წყლის აორთქლება. სითბოსაგან წყალი ცოტ-ცოტათ ორთქლათ იქცევა და მიდის ჰაერში, თუმცა ჩვენ ამას ვერა ვხედავთ თუ ჰაერი ცივი არ არის, როგორც ზამთარში. მაგრამ ზაფხულშიაც ერთნაირათ არა თბილა ჰაერში. დაბლა უფრო ცხელია ჰაერი, ვინემ მაღლა, და უფრო მაღლა ჰაერი ცივიც არის. აი ეს არის მიზეზი იმისი, რომ მაღალ მთებზედ მკათათვეშიაც ისე ცივა, რომ მეცხვარე ტანიდგან ტყავს არ იშორებს. ამას თავი დავანებოთ. ორთქლი არის ისევ წყალი, მაგრამ სითბოსაგან იმის გარეგანი თვისება გამოცვლილია, როგორც მაგ. ყინული; ჩვენ ვიცით, რომ ყინული წყალია, მაგრამ სიცივისაგან ისეა გამაგრებული, რომ თითქმის ქვასაც არ ჩამოუვარდება სიმაგრით. როგორც ზამთარში სჩანს ორთქლი, ეგრეთვე ზაფხულშიაც სჩანს ხოლმე. მხოლოდ მაშინ კი, როდესაც ორთქლი ავა ძალიან მაღლა. ამას ეძახიან ღრუბლებს. მაშ როგორ უნდა მოქმედობდეს სიცივე ორთქლზედ, რომ ეს უკანასკნელი ხდება თვალისთვის საჩინო, როდესაც თბილს ჰაერში თითქმის სრულებითაც არა სჩანს? ეს მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიც მაღლა წავა, იმდენათ უფრო ცივა. სიცივე ჰკუმშავს ერთათ ორთქლს, და ამ გვარათ შეკუმშული ორთქლი უფრო კარგათ სჩანს, რადგანაც ის აღარ უშვებს ჩვენამდი იმ სინათლის სხივებს, რომლებსაც აფარია, და ამისათვის ის ადგილი, რომელიც უჭირავს ამ გვარათ შეკუმშულს ორთქლს, ანუ ღრუბელს, შავათ გვეჩვენება. როდესაც ღრუბელი ახლათ მომატებული სიცივისაგან უფრო შეიკუმშება, ასე რომ ჰაერზედ მძიმე გახდება და ამ გვარად სულ ხელ ახლათ გარდაიქცევა წყლათ, მაშინ ეს წყალი ჩამოდის დაბლა დედა მიწაზედ წვიმათ. მას აქეთ, რაც ეს შეიტყეს, დაუწყეს ყურის-გდება ღრუბლებს და მათის ვითარებით ცდილობდენ შეეტყოთ, როდის იქნება წვიმები და როდის იქნება კარგი ამინდი. სწავლულებმა ამ გვარი ყურის გდებით გამოიკვლიეს შემდეგი ნიშნები დარისა და ავდარისა:

ღრუბლები ჰკიდიან მაღლა ჰაერში და არა სწვიმავენ, მანამ არ მოჰხვდებათ თბილი ნიავი. თუ ღრუბელი არის თხლათ, სუფთათ გაშლილი ბებერას ბუდესავით და ამასთან ბუნბულასავით არის გაპენტილი, ეს იმის ნიშანია, რომ მაღლა თბილმა ნიავმა დენა დაიწყო და უნდა მოველოდეთ ცვლილებას. კუდივით გაგრძელებული ღრუბელი უჩვენებს თავის მსვლელობით თუ საიდამ უბერავს ნიავი, ე. ი. თუ ღრუბელი აღმოსავლეთისკენ მიდის, მაშინ ნიავი დასავლეთის მხრიდამ უბერავს, თუ კიდევ ღრუბელი დასავლეთისკენ მიდის, მაშინ ნიავი აღმოსავლეთის მხრივ უბერავს და სხვა.

წვიმა არ იქნება, თუ ღრუბელი გაყოფილია განცალკევებულ ნაგლეჯებათ; მაგრამ თუ


ქ. მარქსის სახ. ს-ქ. სსრ
სახელმწიფო რესპ.
ბიბლიოთეკა

ეს ნაგლეჯები ერთდებიან ერთმანეთთან და სქელდებიან, ასე რომ ბოლოს სულ ცას მოეფინებიან, ეს იმის ნიშანია რომ მცირს ხანზე დაიწყებს წვიმას.

თუ ამ დროს ამ ღრუბლებს დაბლა მყოფი ღრუბლები მოძრაობენ დიდის სიჩქარით,— ავდარი გაგრძელდება დიდხანს. მაგრამ თუ ამ დროს ღრუბელი დასწყდა და დადგა ჩრდილოეთის ქარი, მაშინ უნდა მოველოდეთ კარგს დარს.

ზაფხულში ხშირათა ჩანს ცაში რომ ღრუბლებიც გამოვა დაფანტული თალმებივით, ასე რომ ეს ღრუბლის ნაგლეჯები მოჩანან გოროებივით. როდესაც ეს ღრუბლები შუადღისას გადაიბმებიან, მაშინ დაიწყება წვიმა; რაც უფრო სველია დედამიწა დილით, მით უფრო მეტია ეს ღრუბელი შუადღისას და მით უფრო უნდა მოველოდეთ წვიმას. თუ აქა-იქ დაგროვებული ღრუბლები მარდათ გროვდებიან ერთათ, წვიმა აუცილებელია სალამოთი, თუ მაღლა დადგა ქარი. როდესაც ცივი ქარი ცდილობს ჰაერის სითბოს დაძლევას და აქა-იქ დაგროვილი ღრუბლები იკრიბებიან და იკუმშებიან ერთათ, ასე რომ გაკეთდება ერთი დიდი და ბნელი ღრუბელი, როგორც მთა, ეს არის ელვა-ქუხილის ღრუბელი. თუ სალამოს დაგროვებული ღრუბლები არ დაიშლებიან და არ დაიფანტებიან, ის იმის ნიშანია რომ ჰაერს მაძღრისათ (საკმაოთ) აქვს წყლის ორთქლი და შეიძლება დაიწყოს წვიმა; და თუ ღრუბლები დაიფანტებიან—ამინდი (დარი) კარგი უნდა დადგეს.

თუ დილით ფერმკრთალი გარიჟრაჟი იყო და ცაში გაშლილი ღრუბლები არ იფანტებიან, უთუოთ წვიმა მოვა.

კარგი დარის ნიშანი არის იმისთანა ღრუბელი, რომელიც, თუმცა ძალიან ხშირათ არის გაბმული დედამიწაზედ, მაგრამ გროვ-გროვა ჩქარა მიდის მაღლა. წითელი და გრძელი ღრუბლები მზის დასვლის დროს არიან ქარის ნიშნები. თუ ამ დროს ღრუბელი არის მობნელო, ანუ მომწვანო და ამასთან სისხლის ფერიც,—უნდა მოველოდეთ ძრიელ ქუხილს, ელვას და ქარს. მოლურჯო ფერფლის ფერი ღრუბელი და ამასთან შეხედულობით ძლიერ მაგარი არის სეტყვის ღრუბელი. ამისთანა ღრუბლებიდგან სეტყვა წამოვა, მაშინ როდესაც ძირს ჩამოეშვება ერთი ღრუბლის ტოტი ყურძნის მტევნის მსგავსათ და სეტყვის წინ ყოველთვის მოდის სხვილი წვიმა.

## როგორ უნდა შევატყოთ ნისლებს როგორი დარი იქნება?

ჰაერში არის რამდენიმე ნაწილი წყლისა ყოველთვის, მაგრამ ეს წყალი არის ორთქლად და ამისათვის არა სჩანს. ეს ორთქლი ჰაერში ერთნაირათ არ არის ყოველთვის: როცა ჰაერი უფრო ცხელია, ორთქლიც უფრო ბევრია იმაში, და როცა ჰაერი უფრო ცივია, მაშინ ორთქლიც უფრო ნაკლები აქვს და ზომაზედ მომატებულს ორთქლს კი ჰაერი ვერ მიღებს. როცა ჰაერს ორთქლი საკმაოთ აქვს, ასე რომ მომატებული აღარ უნდა, ამას ეტყვიან რომ ჰაერი ორთქლით გამაძღარიაო.

როცა ჰაერი გამაძღარია ორთქლით და სითბოსაგან ორთქლი კიდევ ერთმევა წყალსა, მაშინ ეს ორთქლი თუ არ გაცივდა და არ შეიკუმშა, წავა მაღლა ჰერში და თუ სიცივისაგან შეიკუმშა და დამძიმდა, ასე რომ თვალით ადვილათა სჩანს, მაშინ ეს ორთქლი მოეფინება დედამიწის ზურგს და შეიქნება იმ საგნათ, რომელსაც ვეძახით ნ ი ს ლ ს.

ნისლზედაც შეიტყობს კაცი კარგი დარი იქნება თუ ავდარი: თუ ნისლმა დაიწყო წვეთა, უთუოთ კარგი დარი იქნება, და თუ ნისლმა მაღლა აიწია—ავდარი იქნება. თუ მზის ამოსვლის დროს მოწმენდილ ცის ქვეშ გამოჩნდა ნისლი—უნდა მოველოდოთ ქარსა. თუ ნისლი მოეფინა ვაკე და დაბალ ადგილებს, კარგს დარს მოელიან; და თუ ნისლი დგას მთებზე და ტყეებზე, ეს იმის ნიშანია რომ ჰაერი გამაძღარია ორთქლით და ღრუბლიანი დღე იქნება. ამავე მიზეზით საკვამლე და ქვიტკირის კედელი სველდებიან და ბოლი იფინება მიწაზედ, ამისათვის რომ ნესტიანი ჰაერი აღარ უშვებს მაღლა. ჰაერის სინესტისაგანვე დადგება ხოლმე ნისლი მდინარებზე, ტბებზე და ჭაობებზე.

## ცის მნათობებზედა როგორ შევიტყობთ ამინდს?

თუ ვარსკვლავები და მზე მოჩანან მოყვითანოდ ანუ წითლად, ეს იმის ნიშანია, რომ მაღლა ჰაერში მოდის სამხრეთიდგან თბილი ნიავი, რომელსაც მოაქვს წვიმა. თუ მზის დასვლის დროს ეს მხარე მოჩანს წითლათ ან ლურჯათ, ესეც წვიმის ნიშანია. კარგს დარს მოელიან, როცა სალამოს ბინდმანდი წმინდა ნარინჯია, და თუ ამგვარივე არის დილის რიჟრაჟი და ამასთან ჰგავს ცეცხლით მოდებულს,—მოელიან წვიმას და ამასთანავე მალეც. როდესაც მზისა და მთვარის გარშემო მოჩანან წრეები, როგორც აბანოში და სარდაფში სანთლის გარშემო, ეს იმის ნიშანია რომ ჰაერში წყლის ორთქლი შეკუმშულა წვრილ ბურთებათ და ამისითვის წვიმასა და ქარს მოასწავებს. ზამთარში თუ ეს წრეები დიდრონები არიან, თოვლი მოვა. როდესაც მზე ამოდის უფეროლათ, რჩება წითლათ და ძალიან დიდათა სჩანს—ქარი იქნება; თუ სამხრეთისკენაც წითელია მზის ამოსვლის დროს, ქარი იქნება; როცა მზე მოჩანს ორათ გაყოფილი, მკაცრი ქარიშხალი იქნება.

მთვარის სახის გამოცვლას ზოგიერთნი დიდს მნიშვნელობას აძლევენ, მაგრამ ყურადღებიანმა და სასტიკმა გამოკვლევამ ეს ვერ დაამტკიცა.

სხვა და სხვა მთვარის სახის ცვლილებათაგან უფრო ნაკლები მოქმედება აქვს დარზედ ძველ მთვარეს, ახალი მთვარე კი ყოველთვის ერთნაირათ მოქმედობს. მაკრამ მთვარეზედაც, როგორც სხვა ცის მნათობებზე, შეიტყობა, თუ როგორი დარი იქნება.

როდესაც მთვარის წრე ძალიან თეთრი და ნათელია, კარგი დარი იქნება; მაგრამ

როცა მოლურჯოა ან ბნელი ზაფხულში მოასწავებს წვიმას და ზამთარში გაყინვას. ბუნდიანს და ლურჯ მთვარის სახეს მოსდევს დიდი ქარი; წითელსა და ყვითელს გაყოფილს წრეებით მოსდევს ნესტიანიდარი, წვიმა და ქარი.

თუ ცაში ვარსკვლავი ცოტაა — წვიმა იქნება; თუ ელვარი ვარსკვლავები დაბნელდნენ — ქარი და ქუხილი იქნება; თუ თეთრი, მწვანე ან შავი ვარსკვლავებია — წვიმა იქნება. თუ ვარსკვლევები ძალიან ბჭყვინავენ — ზაფხულში ეცხელება; ზამთარში ძალიან ეციება. თუ ვარსკვლავებს შავი წრეები აქვთ გარშემო — წვიმა იქნება, და თუ თეთრი წრეები აქვთ ან წითელი ქარი იქნება.

---

### ამინდის სხვა და სხვა გასაგები ნიშნები.

ხშირი და უხვი რთვილი მოასწავებს კარგს ამინდს, და თუ რთვილი არ დაცემულა დაბალ ადგილებზედ, უნდა მოველოდდეთ წვიმასა და ქარს.

თუ თოვლი მოდის თხლათ და წვრილათ, უნდა მოველოდდეთ ძრიელს და ხანგრძლივ სიცივეს. თუ თოვლს სხვილათ, — ნესტიანი და თბილი ამინდი იქნება.

საღამოს ცისარტყელა დარის ნიშანია, დილის — ავდრისა. პირველი ჩანს ხოლმე აღმოსავლეთისკენ, მეორე — დასავლეთისკენ. რაც უფრო მწვანეა ცისარტყელა, მით უფრო დიდია წვიმა; რაც უფრო წითელია, მით უფრო დიდი ქარია.

თუ ჰაერი ძალიან მჭვირვალია, ამას სინესტე არ ექნება და ამის გამო შორეული საგნები გვეჩვენებიან მახლობლათ, მაგრამ როცა შორეული საგნები მოჩანან ძალიან დიდრონებათ, მაშინ მოელიან ჩრდილოეთის ქარს და წვიმას. მოწითანო ჰაერი წვრილი ღრუბლებით გვაცნობებენ წვიმის მოსვლას.

მზის ამოსვლის ერთი ან ორი საათით წინ წვიმა შუადღემდინ გადიღებს. მაგრამ მზის ამოსვლის ერთი ან ორი საათის შემდეგ დაწყებული წვიმა კი თითქმის გასტანამს მთელს დღეს. თუ დაიწყო წვიმა და ძრიელი სამხრეთის ქარი და ეს ქარი დადგა სამი ან ორი საათის შემდეგ, მაშინ ავდარი გაგრძელდება მთელი დღე-ღამე და ხან მეტიც. სხვილი წვიმა ხან-მოკლე და ძრიელია. თუ წვიმა დაიწყო ჩუმათ და თან და თან მატულობს, ხანგრძლივი იქნება. საღამოს დაწყობილი წვიმა ყოველთვის უფრო დიდხანსა გრძელდება, ვინემ დილით დაწყებული, იმიტომ რომ ღამის სიცივე აძლიერებს ორთქლის შეკუმშვას და ამისგამო ჰაერში მყოფი ორთქლი წვიმის წვეთებათ გარდაიქცევა. დღის სითბო კი ათხელებს ღრუბელს.

თოვლი დასავლეთის ქარის დროს აჩვენებს სიცივის დადგომას; აღმოსავლეთის ქარის დროს ნიშნავს სითბოს დადგომას. იმიტომ რომ დასავლეთის ქარის დროს მაღლა უბერავს ცივი ქარი, და აღმოსავლეთის ქარის დროს თბილი ნიავი. მაგრამ სულ ერთია თუ ამ ქარების შემდევ ჩამოცხა ისევ მოვა წვიმა.

შუადღის წინ ქუხილს უფრო ხშირათ მოზდევს დიდი წვიმა დღ ქარი. თუ ელვა ნაკლებია და ქუხილი მეტი, აქეთ-იქადგან უნდა მოველოდდეთ ქარიშხალს, ქუხილი ჩქარი წვიმის დროს საშიში არ არის და რაც უფრო შავი ღრუბელია, მით უფრო მეტი იქნება წვიმა.

ამ ნიშნებთაგანნ ბევრი იცვლება დროს განმავლობაში ჩვენგან გაუგებარი მიზეზებისაგან და ბევრი კიდევაც თხოულობს გამოცდილებას და შემოწმებას.

---

### ძალიან იაფი საპონი.

უნდა შეკრიბონ მაქალო (ტყის ვაშლი,) პანტისან არყის ხის სოკოები, რომლებიდგანაც აბედს აკეთებენ, დაწმინდონ, კარგათ გაახმონ და დანაყონ, მემრე გირვანქა ნახევარი დაუწვავ კირზედ დაასხან ათი სტაქანი წყალი, და როდესაც კირი დაიწყებს შლას, ჩაასხან კიდევ რვა სტაქანი წყალი, რომელშიაც წინათ უნდა გხსნან ოთხი გირვანქა ნაცარტუტის მარილი და უნდა ურიონ, მანამ წყალი არ გაცივდება და არ დაიწმინდება. იმის შემდეგ უნდა გადიღოს სხვა ჭურჭელში დაწმენდილი წყალი და იმდენი დაფქული აბედი ჩაყაროს შიგა, რომ ეს, შეზავება სქელი გახდეს, კარგათ ურიონ, დაასხან ტაფებზედ და თეფშებზედ და დადგან მაუბუქ სიცხეში გასაშრობლათ. თუ ნარევი გაშრობის შემდეგ ადვილათ არ გაიხსნა წყალში, ეს იმის ნიშანია რომ დაფქული სოკო მეტი მოჰსვლია; ამისგამო ეს უნდა ახლათ დაფქვან, დაასხან ზედ ზემოთ ნათქვამი წამალი და ნაცარტუტის მარილი, იმდენი რომ ფქვილი სულ დამალოს, კარგათ აურიონ და ახლათ გააშროს.

---

### როგორ უნდა გადავარჩინოთ თავი ხოლერასა?

ეს საშინელი და საზარელი სატკივარია, რომელიც ჩნდება წინდაწინ ქალაქებში და დიდ სოფლებში, სადაც ბლომათ ცხოვრობს ხალხი და ამის გამო ჰაერი არ არის მარგებელი. ეს სატკივარი ხვდება იმისთანა ხალხს, რომლებიც ბინძურად ცხოვრობენ ე. ი. ხმარობენ უწმინდურს და გაუსუფთავებელ ტანისამოსს, სჭამენ უხეირო საჭმელს, რომელიც არაფერს არა მატებს კაცის აგებულებას. რომ კაცმა გადიარჩინოს ამ საშინელი და დაუნდობელი სენისაგან თავი, უნდა მოიქცეს აი როგორ: როდესაც არის ხოლერა ქალაქებში და დიდ სოფლებში, მაშინ იმ ალაგების მცხოვრებლებმა არ უნდა დაიწყონ სიარული ამ ალაგებში. რაც უნდა გასაჭირი საქმე ჰქონდეთ, მაინც კიდე უნდა როგორმე გადასდონ. თუ არ მოიქცევა ასე, ცუდათ მოუვა საქმე. შეიძლება, რომ შეხვდეს ეს დაუნდობელი და გადამდები სენი და ამოიტანოს თავის სახლში და თავის სოფელში, სადაც ხოლერა არ არის. ამ ერთიდგან მეორესაც შეხვდება, მეორიდგან მესამეს და ამნაირათ მთელ სოფელს დიდ ვნებას მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემს და სოფელიც თავის მხრივ მოუტანს ვნებას სხვა სოფლებს. თუ კიდე არ დაიშლის კაცი და ძალიან გასაჭირი საქმე ექნება იმ ადგილში, სადაც ეს სენი არის და წავა, მაშინ ის არ უნდა დარჩეს დიდ ხანს ბაზრებში და ერთი სიტყვით იმ ადგილებში, სადაც ხალხი ბლომათ გროვდება.

თუ ზამთარშია ეს სენი, მაშინ ძალიან კარგი იქნება, რომ თბილათ ჩაიცვას და კარზე იაროს უნდა ხშირ-ხშირათ საცხოვრებელი ოთახის ფანჯრები და კარებები გაიღოს ხოლმე, რომ ცუდი ჰაერი გაიწმინდოს. ეს ღონისძიება უფრო საჭიროა იმ სახლებისთვის, რომლებშიაც ბევრნი ცხოვრობენ. არ უნდა აჭამოს საჭმელი სახლში ძროხებს, ღორებს, გოჭებს და სხვა შინაურ პირუტყვებს, და თუ უამისობა არ იქნება, მაშინ რაც შეიძლება ხშირ-ხშირათ გავონ და სწმინდონ ბოსლები, საცა პირუტყვები აბიან, და აგრეთვე ჰალ-მალ გასწმინ- ხოლმე ჰაერიც.

პატარა ბავშვები უნდა მალ-მალ აბანაონ ხოლმე. იმათი კანი ძიელ სუსტია, და ბევრ ჭუჭყს ვერ აიტანს. ჯერ დიდს როგორ შეაწუხებს ხოლმე და აბა, თქვენგან არ მიკვირს, პატარას რაღა კეთილს დააყრის. არ უნდა ჩააცვან გაჭუჭყიანებული, გასვრილი საცვლები. რაც შეიძლება წმინდათ შეინახონ ეს პატარები ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით ხორველის დროს. აგრეთვე დიდებმაც არ უნდა ჩაიცვან ჭუჭყიანი ტანთ-საცმელი. პატარეებს, ვსთქვათ, ამ სენის დროს, რომ სუფთად ჩავაცვათ მაინც შიში იქნება, რადგან ამათი მშობლები არ იქნებიან სუფთად, რომლებიც მათ გარს ახვევიან. ამათგან, განსაკუთრებით დედისგან ძუძუს წოვების დროს, შეეყრებათ პატარეებსაც.

არ უნდა დაჰყარონ ცას ქვეშეთ მკვდარი ძაღლები ან კატები. ისინი სიცხისაგან აყროლდებიან, ამისგამო ჰაერი ფუჭდება და ხორველას გააჩენს; ამისათვის კარგი და გონივრული იქნება ესენი, ესე იგი, მკვდარი ძაღლები და კატები მიწაში დამარხონ ხოლმე.

საჭმელი უნდა იხმაროს ახალი გაკეთებული, არ უნდა ჭამოს მჟავე ვაშლები, შემოუსვლელი დამკვახე ხილი, არ უნდა დალიოს ცივი წყალი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაღალული და გაოფლიანებულია.

არ უნდა ილოთოს, მაგრამ კარგი და მარგებელია ერთი სტაქნის არაყის დალევა სადილ წინათ; ბევრი თუთუნი არ უნდა სწიოს.

ძიელ ბევრი არ უნდა იმუშაოს, ესე იგი, ჯანი და ღონე მუშაობას ძიელ არ უნდა შეალიოს. ტანისამოსი ისე უნდა ჩაიცვას, რომ არ შესცივდეს. მუცელზე, და ყველაგან ტიტველა ადგილ-ზე, საჭიროა აიფაროს მაუდის ნაჭერი.

როდესაც რომელსამე სახლში გახდება ვინმე ამ სენით ავათ, მაშინ უნდა ყურადღება მიაქციონ და ჰაერი იმ ოთახში, რომელშიაც ავათმყოფი წევს, რაც შეიძლება მალ-მალ წმინდონ ვინიცობა ავათმყოფ გარეთ მიდგომა მოუნდეს კარზე ნუ გაუშვებენ. შინ იქონიონ ტაშტი, ან ნატეხარი რისამე და იმაში მიაყენონ. ეს განავალი და ნარწყევი არ უნდა გადააქციონ ქუჩაში, რომ სხვას არავის შეხვდეს,—უნდა მიწა კარგა ღრმად გათხარონ და შიგ ჩააქციონ. ავათ მყოფი, რომ მორჩება, მაშინ იმისი ტანისამოსი უნდა ნაცარ-ტუტში გამოიხარშოს და ეს ნაცარ-ტუტი უნდა ამოთხრილ მიწაში ჩაასხან და ზედ მიწა მიაყარონ. ლოგინი, რომელშიაც ხოლერიანი იწვა, უნდა მორჩენის უმალვე ცეცხლში დასწვან. ტაშტი, ან ნატეხარი, რომელშიც ავათმყოფი ბუნებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიდგებოდა ხოლმე, უნდა უსათუოთ ცეცხლში ჩააგდონ.

თუ ხორველის დროს გამოაჩნდება ვისმეს მუცელში ყვანა, ესე იგი, თუ მუცელში ავათ გახდება ვინმე, მაშინვე უნდა ექიმს (დოქტორს) მიმართონ, იმისთვის რომ ხან-და-ხან ხორველა კაცს მუცელში ავათ ხდის; სადაც ექიმი არ იქნება, ან ის ძალიან შორს იქნება, მაშინ ხორველით ავათ მყოფი უნდა ლოგინში ჩაწვეს და დალიოს თბილი პიტნა, ანუ ჩაი; საჭმელი უნდა ცოტ-ცოტა მიიღოს. სასმელათ თხელი, შორვასავით, გამონადუღი ბრინჯისა ან ქერისა. თუ ერთბაშათ შეხვდება ხორველა, ესე იგი, ერთად გამოაჩნდება მუცელში ყვანა, პირ-ღებინება, კლანჭვა და და ტანი გაუცივდება და გაუშავდება, მაშინ პირ-ღებინების შესაყენებლად უნდა აყლაპოს წვრილ-წვრილათ დაფშხვნილი ყინული, უნდა მთელ ტანზე უსვას, რამე ან ხეხოს მაუდით, ან შალით, განსაკუთრებით ის ალაგები, რომლებიც იგრიხებიან და იკვლანჭებიან, ტანი უნდა გაუთბოს და ამისთვის საჭიროა აფინოს თბილი მაუდი ანუ თბილი ნაცარი. თუ პირ-ღებინება და სლოკინი შესწყდნენ და წყურვილიც არა აქვს ძრიელი, მაშინ შეიძლება ცოტ-ცოტა და დრო გამოშვებით ასვან თბილი პიტნა. იმ ოთახის ფანჯრები, სადაც ავათმყოფი იწვება, უნდა ღია იყოს და არც ხალხი უნდა იყოს ბლომათ, თორემ ჰაერი გაფუჭდება და ავათ-მყოფს აღარა ეშველებარა.

---

## სცენები სოფლის სასამართლოში «დროება» № 10

(კანცელარია ერთის პატარა შკაფით, ოთხი დანტვრეული სკამებით, ერთი სტოლით და კედელზე იმპერატორის სურათით; მსაჯულები და მწერალი სხედან სკამებზედ, სხვა ხალხი ფეხზედ სდგას, ზოგი ქუდით და ზოგი უქუდოთ).

**ერთი მსაჯული.** თქვენ ეი! რატო ქუდს არ მოიხდით? აბა შეხედედ ვინა ბრძანდება! (უჩვენებს იმპერატორის სურათს).

**მეორე მსაჯული.** განა მაგდენიც იციან, ბრიყვებმა!

**ერთი გლეხი** (წაუდუდუნებს მეორეს). მაგის თავიმზემ, მაგან კი ბევრი იცის; აქამდინ სულ მეცხვარეთ არ ეგდო? მითომ ეგ ჩვენზე გაზდილია; ძრიელ დიდათ კი უკვირს აი მენდალი და; ნეტა საქმის გასამართლება მაინც შეეძლოს! ეს საწყალი კაცი რამდენი ხანია აქა დგას და მაგათ შესცქერის (უჩვენებს იმ-კაცზედ, რომელსაც კალთაში რაღაც უხვევია). ჩვენმა კაცმა რომ დიდება მიიღოს, გლეხებს სულ

დალუპამს. (**მამასახლისი და მსაჯულები აქამდინ რაღასაც საიდუმლოთ ლაპარაკობდნენ**).

**მამასახლისი (თამაზას).** რაო, თამაზავ, წეღან რას ამობდი?

**თამაზა.** იმას ვამობდი, რო თავგიანთ ძაღლი ისეა გაწუწკებული ის ოხერი, რო აღარც ერთი წიწილი და კრუხი აღარ დააყენა ჩვენ უბანში: გათენდება დილა თუ არა, მაშინვე საქათმეებისკენ გასწევს და საბუდრებს ჩხრეკას დაუწყებს; დილას როგორც შევედი ჩვენ საქათმეში, ისეც ზედ მივასწარი, რომ კრუხსა სჭამდა; მაშინვე დაუყვირე აი...თა...თააა..ათა! მეთქი. ის მუდრეგა, ისე შეუპოვრათ გამოვიდა, რო თითქო აქ არაფერი ამბავიაო. მე რო არ მივსულიყავ, ამ კვერცხებსაც სულ გადაჰყლაპავდა (**აჩვენებს კალთით კვერცხებს**).

**ერთი მსაჯული.** მოწამე გყამს, რო იმათმა ძაღლმა შეჭამა? იქნება ქორმა შეჭამა სადმე და იმას ტყუილათ აბრალებ?

**თამაზა.** ვისაც გინდად, ჰკითხეთ, ის მუდრეგა ძრიელ სუნაგი რამ არი, გვერდიდგან ისე აგაცლის პურს, რო ვერ გაიგო; მეც ისე უეცრივ მივადექი, თორემ ჩვენი დედაკაცები აბა რას გაიგებდნენ!

**მსაჯულები.** ახლა რა გინდა, როგორ გადაგიწყვიტოთ?

**თამაზა.** ეგ თქვენ უნდა გაასამართლოთ, მე კი ჩემი კრუხი და კვერცხები, მომეცით და, მე სხვას აღარასა გთხოვთ.

**ერთი მსაჯული.** კვერცხებს რაღას თხოულობ, ემანდა კალთაში არ გიხვევია?

**თამაზა.** კალთაში რო მიხვევია, რიღას მაქნისია, ისე გაულაყდეს თავი თავგიანთ გითუასა, როგორც ესენი დაალაყა იმისმა ძაღლმა.

**ერთი მსაჯული.** თამაზო! მოდი, თავი დაანებე, ეგ როგორ უნდა გადავახდევინოთ!

**თამაზა.** თუ კი შარშან უსუარი ბავშვები დაამწყვდიეთ ორი ისრიმის მტევნისთვინ, ეს უფრო დიდი საქმე არ არის?!

(**ამ დროს ისმის სხვა გლეხის ხმა გარედგან:**) ეხლანდელ დროში არ არის დანდობა, არა, არა, კაცო, მეზობელმა რო მეზობელი არ დაინდოს, იმას რა ღმერთი უნდა ესთხოვო? ნახამთ, თუ მალე მეორეთ-მოსვლა არ მოვიდეს! (**შემოდის**).

**მსაჯულები.** რა ამბავია, ვის გაუჯავრებიხარ, მერება?

**მერება.** ოჯახი რო დაექცეს დემეტრეშვილ იასეს.

**მსაჯულები.** კაცო, რა დაგიშავა?

**მერება.** (**გაშლის ხელებს და შეიხედავს მაღლა**). ღმერთო! ნუ მისცემ კარგსა და კეთილს იმის ცოლსა და შვილსა, ჩემის ცხენის ცოდვით.

**მსაჯულები.** თქვი, კაცო, რა გიყო?

**მერება.** რაღა რა მიყო, დამღუპა, დამაქცია იმ ოჯახ ამოსაწყვეტმა! დილას ჩემი საქონელი ნახირში გამოვრეკე; იასეს ჩემი ცხენი თავის ნაფუზრისკენ გაეფთხო, მერმე ორთავ ძმებს მოევლოთ აქეთ-იქიდგან, კვიცი ასხლეტოდა ლობეს, იქიდგან გზაზე გასულიყო...ნეტა თვალები დამბრმავებიყო და ის არ მენახა...

**მსაჯულები.** მერე რა იყო, სთქვი?

**მერება.** მოინწყვრიეს თურმე ლობის ძირას, დაუშინეს კეტები...სისხლი ყელში მებჯინება, ღმერთმანი...რო ღვთისა არ მეშინოდეს, მე იმას აუტეხდი რასმე, იმ უგამჩენოს იმასა.

**მსაჯულები.** გაგვაგებინე სწორეთა, მამა გიცხონდა.

**მერება** მერმე ცხენისთვინ ძალა დეეტანებინათ და ლობეზედ გადამხტარიყო...ნეტა კი ცოლ-შვილი ამომწყვეტოდა და ის საცოდაობა არ მენახა...

**მსაჯულები.** აკი გადამხტარა, რაღა საცოდაობა ნახე!

**მერაბა.** არა, კაცო, პატარა მუცლით მარგილზედ ჩამოჰგებოდა... ისე იყო გადადანდლული ლობეზედ. თვალ ცრემლი მამდის, რომ ვიგონებ; ნეტავი თვალით ნახო, რა საცოდავათ არის...

**მსაჯულები და ხალხი.** რა მიუქარამთ?

**მერაბა.** ღმერთს გეფიცებით, თუ თქვენ კარგათ არ გაასამართლეთ, მიროვი სუდთან ვიჩივლებ; მე აგრე დედა არ მეცოდება, როგორც კვიცი, ისიც მალე მოკვდება.

**მსაჯულები (გზირს.)** გზირო! წადი და ეხლავ აქ ჩამოიყვანე დემეტრეშვილი იასე. (**გზირი გავა**).

**თამაზა.** მე არაფერ სამართალს არ მაძლევთ?

**მსაჯულები.** კაცო, რამ გაგაგიჟა, აბა რა სამართალი უნდა მოქცეთ, რა უყოთ პირუტყვ ძაღლსა? როცა კიდევ მოასწრო, თოფი ესროლე და მოკალი, ე'ა არის ჩვენი სამართალი.

**თამაზა.** რაღა მიქნია, სწორეთ იმას დაუდგები ყარაულათა! კაცო, ვერ გაიგეთ, ძრიელ გაწუწკებულია? თითონ პატრონს უნდა გადაახდევინოთ, რომ ან დააბას და ან მოკლას.

**ერთი მსაჯული. (პასხარობით)** წადი, ის ძაღლი აქ ჩამოიყვანე, ვკითხოთ, იქნება სხვის ძაღლი იყო და იმას ტყუილათ აბრალებ.

**თამაზა. (მსაჯულებს).** ხვალ სუყველანი ჩამოვალთ, ვისიც ან ინდოური, ან იხვი, ან ბატი, ან წიწილ-კრუხი შეუჭამია, სულ ერთბაშათ მოვაქექინებთ თავს იმის პატრონს. არა, ის ოჯახმუდრეგი, რათ უნდა, რომ ინახავს სუნაგს და გაწუწკებულ ძაღლსა? (**ამ დროს შემოდის იასე დემეტრეშვილი**).

**მსაჯულები. (იასეს).** კაცო, რაზედ დაგიღუპნია ეს კაცი?

**იასე.** მე რაზე დავღუპე, მაგან სულ აგრე იცის. გამოუშვებს საქონელს თუ არა, მოანებებს თავს ჩვენი ნაფუზრისკენ, ისე ამოაგდებინა მთელი წელიწადი პატიოსანი ჯეჯილი, რო ხუთი კოდი აღარ გამოვა.

**მერება. (გააწყვეტინებს ლაპარაკს)** დახე, დახე რეებს ამობს ეს ჰყეტია, ესა ეე! რო შემეძლოს, კბილით დავგლეჯამდი, ღმერთმანი!

**მსაჯულები. (მერებას)** დაიცა, კაცო, ჰსთქვას, როგორ იყო. (**მერება გაჩუმდება და დაიწყებს იასე**).

**იასე.** საქონელი გამორეკა დილას, ჩვენ ნაფუზარში შევიდნენ, გამოესივნენ ჩვენი ძაღლები, კვიცი მოსხლტა და გზაზე გადავიდა; მაგის ცხენი ერთი რაღაც ბაიყუში რამ იყო, დეეშვა ისე შუა ყანისკენ; ამ დროს ლობეს

გარედგან კვიცმა დაუხვიხვინა, ისკუპა იმ მუდრეგამა და გადაევლო ღობეზე. აბა ჩემი რა ბრალია, თქვენი ჭირიმე?

**მერება.** (გაბრაზებული) ნუ დაუჯერებთ, სულ ტყუილებს ამობს, მითომ დემეტრეშვილებს ტყუილის თქმა გაუჭირდეთ თუ, მაგათ კალთაში აქვთ გახვეული. (იასეს) შე უგამჩენო, შენა, კოწიაანთ რძალს არ ეცქირია, როგორც კეტებით გეცემათ შენ და შენ ძმას?

**იასე.** რომელსა, აი კუდიანსა? იქნება ეშმაკები მოელანდა!

**მერება.** კუდიანი რათ იქნება, რაც ნახა, იმას სწორეთ იტყვის.

**მსაჯულები.** ჩვენ მოწამე არ გვინდა. დაიცა, მერებ, თუ ღმერთი გწამს. (იასეს). სწორეთ ეგრე იყო, როგორცა სთქვი?

**იასე.** ოო! ჩემა მზემ, სულ ესრე იყო, ნამწეწი ტყუილი არა მითქვამს რა.

**მერება.** ისემც ისრე მართლა ამოგივა სული, როგორც შენ მართალი სთქვი.

**მსაჯულები** (მერებას). მოგვიცადე პატარა და!

**მამასახლისი.** იასემ რაცა სთქვა, მართალია.

**მერება.** (გააწყვეტინებს) არა, კაცო, არა, ხალხნი არა ხართ?

**მამასახლისი.** მოიცა და, გავათაო: საქონელი ყანაში შესულა, იასეს ძაღლები გამოუტევია, ცხენი რო ყანაში შერევია, მაშინ თითონაც და თავის ძმაც გამოსდგომიან გამოსაგდებათ. ესე არ იყო, იასე?

**იასე.** (სიამოვნებით). ჰო, ჰო! სწორეთ ეგრე იყო.

**მამასახლისი.** იასეს და ამის ძმას გამოუგდიათ ყანიდგან, ღობის ძირას რომ მისულა ცხენი და დაუნახამ თავისი კვიცი, გადამხტარა.

**მერება.** (გააწყვეტინებს). არა, კაცო, მაგათ თურმე კეტებით დაუწყეს ცემა და ისე გადააგდეს.

**მამასახლისი.** (მერებას). დამაცადე და! მე მგონია, დედა კვიცთან არ უნდა გადამხტარიყო, თუ იმას ძალა არა დასდგომიყო რა, მართალს ამობს მერება. (იასეს) თქვენ სწორეთ კეტებით გიცემიათ და ძალათი გადაგიგდიათ.

**მერება.** (სიამოვნებით). ძალათი, ძალათი გადააგდეს, ღმერთმანი... (ატყდება იქ მყოფთა შორის ყაყანი, ზოგი ამბობს დედა გადახტებოდაო, ზოგი ამბობს არა, კვიცი უნდა გადამხტარიყო დედასთანაო).

**ერთი მსაჯული.** მართალი სთქვა მამასახლისმა: დედა ცხენი არა დროს არ გადახტება თავის კვიცთან და კვიცი კი ისეთი ჯიგრიანია, რო დედის ხმას საცა კი გაიგონებს, უეჭველათ უნდა მივიდეს.

**იასე.** (წიწყვინით). არა, ხალხნო, არა, დედა გადახტა, თავი არ მომიკვდება, გადახტა-თუ არა, მუცელზე ჩამოეგო.

**ხალხი.** შეილო, შენ სტყუი, რაღა ტყუილებს ლაპარაკობ.

**მსაჯულები და მამასახლისი.** (ადგებიან). აგერ შუა-დღე მოვიდა, ჩვენ ცოტას შევნაყრდებით, თქვენ ე კარზედ იარეთ, მერე გადავწყვიტოთ, ან იასესთვინ ამის საქონელს რა წაუხდენია და ან ის ცხენი რა ღირდა, ოთხი სვინდისიანი ოჯახიშვილი ამოირჩიოთ და იმათ დააფასონ ორივეს წანახედი. (ხალხი გამოდის, მსაჯულებიც გამოდიან და პურის საჭმელათ მიდიან დუქანში; ხალხი გადის და გამოდის კანცელარიის წინ, ზოგი ჩიბუხსა სწევს, ზოგს უბეში ჩაუყვია ხელები და იღლიაში სახრე სჩრია, აქვთ ლაყლანდარობა და ერთი აყალმაყალი; ამ დროს ამოვლის იასაული).

**იასაული.** (ხალხს). სად არის თქვენი მამასახლისი?

**ხალხი.** სუდიებმა და იმან ეგრე დუქნებისკენ ჩაიარეს.

**იასაული.** იქნება მე ვერა ვნახო მამასახლისი, მივეჩქარები, და თქვენ უთხარით, ხვალ ჯარი ამოივლის და ოცდა ათი ურმის ბეგრები მზათ დაიჭიროს; თქვენ გადიტანთ ახალქალაქამდინ, მერე ისინი წაიღებენ. გესმით, არ დაგავიწყდეთ ნამდვილა უთხარით.

**ხალხი.** ვეტყვით მა რა. (იასაული გაქუსლავს ახალქალაქისკენ).

**ერთი გლეხი.** ეხლა, მგონი, შუა-უბნელების რიგია ბეგარაზედ წასვლისა.

**მეორე გლეხი.** შუა უბნელები ქალაქს არიან, მგონი, ისევ ჩვენ გვიკრამენ თავსა.

**პირველი გლეხი.** მაინც არ წავალ, ღმერთმანი, თუნდ რომ დამარბიონ კიდეცა: ჩემა საქონელს ჩლიქები სულ დასცვდათ იმ მუდრეგა თურქულისაგან.

**მეორე გლეხი.** ჩვენ საქონელსაცა სჭირდა თურქული, მაგრამ ძრიელ ადვილათ იხადეს; ეგეც ანგელოზივით დაიარება, საცა აწყვეინებენ, იქ ძალიან მუსრს ავლებს საქონელს. (ამ დროს კანცელარიაში შემოდიან მამასახლისი, მსაჯულები, მწერლები და იასე უკან შემოჰყვება).

**იასე.** (დრეჯით). აბა! თქვენი ჭირიმე, თქვენი, იმედი მაქვს, ზოგს კაცი შემოაკვდება და თავს გადაავლებენ ხოლმე: ოღონდ იმის ჯაბანს კი ნუ გამხდით და, რაც ის ცხენი ღირდა, თქვენ მოგართმევთ იმასა.

**ერთი მსაჯული.** კარგი, კარგი ჩვენ ვიცით. (ამ დროს გარედგან შემოდიან გლეხები.)

**ერთი გლეხი.** მამასახლისო, წელან თქვენ წახვედით თუ არა იასაულმა ამოიარა და გვითხრა: მამასახლისს უთხარითო, ხვალ ჯარი მოივლისო და ოცდა ათი საბეგრო ურემი მზათ იქონიოსო.

**მამასახლისი.** მერე რა იქნა თითონ?

**გლეხი.** თითონ ახალქალაქისკენ წავიდა, იქაც უნდა შეატყობინოო, ჩვენებურებმა იქამდინ უნდა გადიტანონ.

**მამასახლისი** (გზირს). გზირო! ეხლა ბეგარაზე წასვლისა შუა-უბნელების რიგია; წადი და ოცდა ათი ურემი მოაგროვე ხვალისთვინა.

**გზირი.** შუა-უბნელები არ იყვნენ, გუშინ ქალაქ ქირები წაიღეს!

**მამასახლისი.** მაშ ხვალ თვალადელები წავიდნენ; მერმე შუა-უბნელებს გავგზავნი, სულ ერთია. (გზირი გადის, შემოდის მერება და მოჰყავს ორი კაცი.)

**მერება.** აი ამ კაცებმა დააფასონ, რაც ღირდა ჩემი ცხენი.

**ერთი მსაჯული.** მოიცა, ჯერ ხომ საქმე არ გათავებულა; იქნება ეს კაცი მართალი

და შენი ცხენი თავის თავათ გადახტა კვიცთან.

**მერება.** წელან არ იყო საქმე გავათავეთ, ყველანი არ ამბობდით, დედა კვიცთან არ გადახტებოდა, თუ იმისთვის ძალა არ დაეტანებინათო, ეხლა რეებსა ამბობთ?

**მსაჯულები.** ეხლა ჩვენ მოვიფიქრეთ, რომ ხანდისხან დედაც გადახტება ხოლმე კვიცთან და ამიტომ არ შეგვიძლია ეს კაცი გავამტყუნოთ.

**მერება.** (გაბრაზებული.) რეებს ამბობთ, კაცო, წელან არ იყო ყველანი ამტყუნებდით და ამბობდით დედა არ გადახტებოდა კვიცთანა! ეხლა რა ნახეთ, რო ამბობთ დედა გადახტება კვიცთანაო? (მიუბრუნდება იქ მყოფ ხალხს) კაცო, ხალხნი არა ხართ, სწორეთა ჰსთქვით!

**იასეს მომხრე გლეხები.** ჩვენ წელანვე ვამბობდით, რო ხანდისხან მოხდება, რო დედა გადახტეს კვიცთანა!

**მერება.** (გაჯავრებით) აკი გითხარით, კაცო, პირი წახდა მეთქი, აღარ არის პირი, პირი აღარ არის! (მსაჯულებს) ამოგიღოთ განა და იმიტომ ლაპარაკობთ მიდგომით? (შეიქნება აყალმაყალი გლეხებში; ზოგი ამბობს: ქრთამს რა არ შეუძლიან? ნათქვამია: «ქრთამი ჯოჯოხეთის ანათებსო»)

**მერება.** (გაჯავრებით) დამაცადეთ, მე გამოგაჩენთ მიროვი სუდთან რაღაც სუდიეები ბრძანდებით... (ხალხი გამოდის ყაყანით, ზოგი მერებას ამართლებს და ჰკიცხავს მსაჯულებს, ზოგი იასეს.)

1872 წელს.

ა. ქავთელი.

---

## ჩვენი სოფლის სასამართლოები

### «დროების» № 10

იმ ცვლილებაებთ შორის, რომელნიც ამ უკანასკნელ ათ-თხუთხმეტ წელიწადში მოხდნენ ჩვენში, სოფლის ახალი გამგეობისა და სასამართლოების შემოღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლა, ვინც იმ უწესოებასა და სოფლელი ხალხის შევიწროებას მოიგონებს, რომელიც ამ ათი-თხუთხმეტი წლის წინათ სუფევდა ჩვენში, ის დაგვეთანხმება, რომ ახალ რეფორმას კეთილი გავლენა უნდა ჰქონოდა ჩვენს მდაბალ ხალხზე, და შემდეგში რომ ეს რეფორმა კეთილს ნაყოფს მოიტანს —ამაში არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ, როგორც ხშირათ მოხდება ხოლმე ახლად დაწესებულ საქმეში, აქაც აღმოჩნდნენ ზოგიერთი გარემოებანი, რომლის წყალობით სოფლის გამგეობისა და სასამართლოების რეფორმა ზოგან ვერ მიდის ისე კარგათ, როგორც რიგია და როგორც იმედი გვქონდა. ერთი უმთავრესთაგანი ამ დამაბრკოლებელი გარემოებისა არის გამოუცდელი და ხანდისხან ულირსი პირების ამორჩევა სოფლის სასამართლოებისა და გამგეოგის თინამდებობის აღმასრულებლებად. ხშირათ გაგვიმეორებია ჩვენ ის ჭეშმარიტება, რომ რომელიმე ახლად დადგენილი წესი, ანუ კანონი მხოლოთ მაშინ მოუტანს საზოგადოებას ჯეროვან სარგებლობასა და ნაყოფს, როდესაც ამ საზოგადოებაში ამ კანონისა და წესის კარგი აღმასრულებელი პირები აღმოჩნდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი წესი და კანონი დარჩება მკვდარ წესად და კანონათ და იმის აუსრულებლობა, ან ცუდათ ასრულება სიკეთის ნაცვლად ვნებას მოუტანს საზოგადოებას.

უეჭველია, რომ ჩვენი სოფლის სასამართლოები კარგი წესია. სხვა არა იყოს რა, იმით მაინც სჯობია უწინდელ წესსა, რომ ახლა ჩვენი გლეხები თვითონ თავის შორის ირჩევენ მოსამართლეებსა და გამგებლებს, რომელთაც იმათი მდგომარეობა და გარემოება უკეთ იციან და მაშასადამე, რომელთაც იმათი გასამართლება და გამგეობა უკეთ შეუძლიანთ. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ზოგიერთ სოფლებში ამ ახალი წესის აღმასრულებელი პირები ძლიერ ურიგონი და ულირსნი ჩნდებიან. განსაკუთრებით ხშირათ ისმის სოფლებში ჩივილი, რომ ჩვენი მამასახლისი და მოსამართლეები არაფერს არ აკეთებენო და თუ აკეთებენ —უქრთამოთ ხელს არ ჰნძრევენო. ეს ძრიელ სამწუხარო მოვლინებაა. მაგრამ პირველ დასაწყისში ყოველთვის უნდა მოელოდეს კაცი ამისთანა შეცდომებს და ურიგობას. ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა, რომ თავიდამვე სოფლის გამგეობის საქმე კარგათ წასულიყო; სასიამოვნო იქნებოდა, რომ სოფლელებს რიგიანი და პატიოსანი კაცები ამოერჩიათ თანამდებობებზე. მაგრამ ეს ისე ადვილად შესაძლებელი არ არის როგორც სათქმელი-ერთი რომ გლეხები გამოუცდელნი არიან და ამიტომ შეიძლება ისეთი პირი ამოირჩიონ, რომელზედაც იმედი ჰქონდათ, მაგრამ რომელმანც შემდეგში ვერ გაამართლა მათი მოლოდინი; ამას გარდა სოფლებშიაც ჯერ-ჯერობით ძნელათ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც მართლა რიგიანათ ესმოდესთ მოსამართლეობისა და მამასახლისობის მოვალეობა.

ნომერში დაბეჭდილია სოფლის სასამართლოს სცენები, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ იმ სოფლის გლეხები, რომელსაც ეს სცენები ეკუთვნის, ძალიან არ უნდა ემადლიერებოდნენ თავიანთ მამასახლისსა და მოსამართლეებს. შეიძლება სხვა სოფლებშიაც ხშირათ ხდებოდნენ ამგვარი საქმეები; შეიძლება, რომ სხვაგანაც სოფლის მოსამართლეები «ფულითა სჯრიდნენ სამართალს». თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მოვლინება ძლიერ სამწუხარო მოვლინებაა...

ზემოხსენებული სიტყვებითა და მაგალითებით ჩვენ სრულიად არა გვსურს, რომ რაიმე ურიგო ვსთქვათ ახალს სოფლის სასამართლოებზე. როგორც ამ ნომერში დაბეჭდილის «სცენებისა,» აგრეთვე იმ სტატიის დანიშნულება, რომელსაც ახლა კითხულობს მკითხველი, მხოლოთ ის არის, რომ უჩვენოს საზოგადოებას ეს სამწუხარო მოვლინება და ღონის-ძიება იმის მოსპობისა.

ამბობენ, სოფლის მამასახლისები და მოსამართლეები ქრთამს იღებენო. რა ეშველება ამას? როგორ უნდა მოისპოს ეს?

უეჭველია, რომ პირველი საშუალება, რომელზედაც უნდა მივათითოთ ჩვენ, ის იქნება, რომ გლეხებმა მიუდგომელათ და წინდახედვით ამოირჩიონ პატიოსანი და საქმის მცოდნე პირები, თუკი სადმე იპოებიან ისინი სოფელში. ამ ამორჩევაში, რასაკვირველია, ძალიან ბევრის დახმარება მაზრის უფროსებსა და მომრიგებელ მოშუამდგომლებს შეუძლიანთ თავის რჩევითა და ცოდნით. შენიშნულია, რომ ჩვენს სოფლებში მამასახლისებათ და მოსამრთლეებათ უფრო ხშირათ შეძლებულ გლეხებსა და ისეთებს ირჩევენ, რომელთაც ქალაქებში უვლიათ და გაქნილობა აჩნევიათ. რათაო? განა კარგი მამასახლისობისთვის და მოსამართლეობისათვის სიმდიდრე ანუ შეძლება და გაქნილობა აუცილებელათ საჭიროა? მდიდარი და გაქნილი გლეხის ამორჩევას ყოველთვის ისა სჯობია, ჩვენი აზრით, რომ ღარიბი და პატიოსანი ამოირჩიოს, რადგან ის ყოველთვის უფრო თანაუგრძნობს და უკეთ გაიგებს თავის მსგავსი ღარიბი გლეხების გარემოებასა და საჭიროებას.

ყველა ეს ნაკლულევანება და შეცდომა, რომელიც ახლა ჩნდებიან სოფლის სასამართლოებში, უეჭველია, დროს განმავლობაში თავის თავათ მოისპობა. მაგრამ რაც უფრო ფრთხილათ აირჩევენ გლეხები თავიანთ მოხელეებსა და რაც უფრო მომეტებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ საქმეს საზოგადოების კეთილის მსურველი პირები, ისე უფრო მალე დაატყობს სიკეთის ნიშანს ეს ახალი რეფორმა ჩვენ გლეხ-კაცსა, იმ გლეხ-კაცსა, რომელსაც ყოველი მხრიდამ ეჭირვება ხელის მომართვა და დახმარება...

---

**რა არის საჭირო იცოდეს კაცმა, როდესაც ის ესახლება ერთი ადგილიდგან მეორეში?**

თუმცა მართალია, კაცს დედა-მიწაზე ყოველ ადგილს შაუძლია იცხოვროს, როგორც მლიერ ცხელ ქვეყნებში აგრეთვე მლიერ ცივებშიაც, მაგრამ ერთბაშათ გადასახლება უცხო ადგილს არ არის ადვილი კაცისათვის და კიდევაც საშიშარია. ვინც იმ ადგილს სტოვებს, სადაც ის დაიბადა, გაიზარდა და სადაც ის შეეჩვია გარემოებას, და მიდის უცხო მხარეში, მას ადვილად შაუძლია დასნეულდეს და იქნება კიდევაც მოკვდეს. მიზეზი ამისა ერთის მხრით ის არის, რომ კაცი როდესაც გადადის უცხო ქვეყანაში, მაშინ ის ხშირათ მლიერ ბევრს ფიქრობს და სწუხს იმ ადგილზე, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, მეორე მხრით — ის, რომ კაცი ახალ ალაგს უეცრად აკლდება შეჩვეულ გარემოებებს. მაგრამ კაცმა რომ უცხო ქვეყანაში დასახლების დროს არ დაკარგოს არც თავის ჯანის სიმრულე და არც სიცოცხლე ის მისთვის უნდა მოიქცეს აი ამ სახით: პირველად გაიგოს, რა საჭმელს სჭამენ და ან რა ჩვეულება აქვსთ იმ ქვეყნის მცხოვრებლებს, სადაც ის გადადის. მეორეთ. იქაურს ყველაფერს უნდა შაეჩვიოს ცოტ-ცოტათი და არა ერთბაშათ. მესამედ, თუმც ის გადადის თბილი ქვეყნებიდგან, სჯობს რომ ზამთარში, პირველად მაინც, თავის წინანდელ ალაგს გაატაროს დროება; თუმც ცივი ქვეყნიდგან გადადის თბილ ქვეყანაში, მაშინ ზაფხული პირველად, მაინც, თავისივე წინანდელ ქვეყანაში გაატაროს.

ვინც ცივი ქვეყნებიდგან მიდის თბილში, იმან უნდა მიიღოს სახეში შემდეგი კანონები:

1) გზაში სხვა და სხვა ალაგებს დაისვენოს გვარიან კარგა ხნით, რომ უცებ არ შეეტაკოს უცხო ქვეყნის ჰავას.

2) გზაში ცოტა უნდა სხვას და სჭამოს.

3) გადასახლება უცხო ქვეყანაში სჯობია ან ნოემბერში, ან დეკემბერში ან იანვარში და ან თებერვალში. ზაფხულის დროს გადასახლება კი არ კარგა, რადგანაც ამ დროს ცხელ ქვეყნებში გადამდები სნეულებანი ხშირად სჩნდებიან.

4) სადგომი უნდა იყოს მშრალი, უტენო, არ უნდა იყოს ტბის და დამდგარი წყლის ახლოს; ყოველ ადგილს სჯობია ფერდო აღმოსავლეთისკენ მიქცეული.

5) საჭმელი უკეთესია ამ დროს მცენარებიდგან შეზავებული, მაგრამ ხშირად ჭამა არ კარგა საკმაოა რომ მარტო ორ ჯერ სჭამოს კაცმა. ნანადირების ჭამა არ არის სასარგებლო.

6) წყალი სვას რძეში არეული. მჟავე ხილების წვენს, თუ გაურევს წყალში, ისიც კარგია. სპირტი და სხვა ამგვარი სასმელი მავნებელია.

7) ტანისამოსი სჯობია მატყლის ან ბანბის, მაგრამ შავად არ იყოს შეღებული. მატყლისაგან მუცლის სათვარი იქონიოს. ქუდი კარგად უნდა უფარავდეს თავს მზის სხივებისაგან.

8) დაღლილობას მლიერ ერიდებოდეს დღით ნაშვადღებს დაისვენებდეს. საღამოს ცვარს და ცივნიავს მოერიდოს და დაიძინოს ადრე.

9) ახალ გადასახლებულ კაცს, თუ ღამით არ ემინება, იმას მოუხდება ბანაობა, მაგრამ შემდეგ ბანაობისა რომელიმე ზეთი უნდა ისვვას ტანზე.

10) როდესაც კაცი რამოდენათმე შეეჩვევა ახალ ალაგს მაშინ სჭამოს მან კვერცხი, რძე, ნანადირევი, შინაური ფრინველის ხორცი და ცოტა ღვინოც სვას.

(შემდეგ იქნება.)

*Дозволено цензурою Тифлисъ I5 Марта 1872 г.*   გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.